ხელშეკრულება # 58

სახელმწიფო გამარტივებული შესყიდვის შესახებ

ქ.მცხეთა --11--დეკემბერი--.2018 წ.

ერთის მხრივ, სსიპ ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი (ს/კ 236067224) (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ანდრო ბედუკაძის სახით და მეორეს მხრივ ფ/პ გიორგი ჯლანტიაშვილის(შემდგომში „მიმწოდებელი")(პ/ნ01019078850) სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ ს[1]" ქვე პუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას ,შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ცენტრალური გათბობის მონტაჟი (დამხმარე შენობაში) (CPV- 45315000) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1000 ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საშემოსავლო გადასახადი.

3. საქონლის მიწოდების პირობები

3.1. „მიმწოდებლის" მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხზე პასუხისმგებლობა ეკისრება „მიმწოდებელს".

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება მომსახურების გაწევისთანავე ფორმდება„მიღება-ჩაბარების" აქტით.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1."მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით „მიმწოდებლის" მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე, ეროვნულ ვალუტაში.

6.მხარეთა ვალდებულებები

6.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

6.1.1. გაუწიოს „შემსყიდველს“ ხარისხიანი მომსახურება და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

6.1.2. დროულად განიხილოს „შემსყიდველის “ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომელიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

6.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

6.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის“ თანხის დროულად ანაზღაურება .

6.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომელიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7. მხარეთა უფლებები

7.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

7.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული ანაზღაურება.

7.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

7.2.1. აწარმოოს შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლი:

7.2.2. განაცხადოს უარი უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარებაზე.

8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ;

8.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე;

8.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

9.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაორმდეს წერილობითი ფორმით.

9.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველი" ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10% - ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10. დავების გადაწყვეტა

10.1. მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით.

10.2. თუ შეთანხმება ვერ მოხერხდა, დავა გადაწყდება სასამართლოს გზით. მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარმოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნონ ერთმანეთს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შასაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ, შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის (შეთანხმების) გზით.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში ხელშეკრულების მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.03 % - ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

12.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

12.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1 % -ს, მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

13.1.1. ურთიერთვალდებულებების შეუსრულებლობით;

13.1.2. მხარეთა შეთანხმებით;

13.1.2. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. მომსახურების გაწევის ვადაა 2018 წლის 1/11-დან-დეკემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე.

14.2. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე.

15. დამატებითი დებულებები

15.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება „შემსყიდველთან", მეორე „მიმწოდებელთან"

16. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო	ფ/პ
მუზეუმი ს/კ 236067224	პ/ნ 01019078850
ტელ.: 2 180421	ტელ.: 551 220720
ბანკის კოდი:	BAGAGE22
TRESGE22	GE76BG0000000103341981GE22
ანდრო ბედუკაძე	გიორგი ჯლანტიაშვილი

მიღება - ჩაბარების აქტი # 58

ქ.მცხეთა

დეკემბერი 2018 წ.

ეს აქტი შევადგინეთ „ მიმწოდებელმა“ ფ/პ გიორგი ჯლანტიაშვილმა და „ შემსყიდველმა“

სსიპ ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა ანდრო ბედუკაძემ, მასზედ, რომ „მიმწოდებელმა“ ჩააბარა, ხოლო „შემსყიდველმა“ 2018 წლის ------ დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულება # 58 -ის თანახმად, ჩაიბარა გათბობის სისტემის სამონტაჟო სამუშაოები (CPV45315000) , რაც წარმოადგენს 1000 ლარის (მათ შორის საშემოსავლო გადასახდი) უნაღდო ანგარიშსწორების საფუძველს.

მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ.

სსიპ ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო

მუზეუმის დირექტორი: ანდრო ბედუკაძე

ფ/პ გიორგი ჯლანტიაშვილი